



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თ ე რ ჯ ო ლ ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 60

30/05/2018

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში
თამბაქოს მოწევის აკრძალვის წესის დამტკიცების შესახებ

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 171¹ მუხლის 1-ლი ნაწილის, 209 –ე მუხლის, 239 –ე მუხლის 48-ე პუნქტის, საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 72-ე და 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გ) ქვეპუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

მუხლი 1. აიკრძალოს თამბაქოს მოწევა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში (ადმინისტრაციული შენობის ვესტიბიული, დერეფანი, კიბის უჯრედი, სამუშაო ოთახები, სარდაფი, და სხვა).

მუხლი 2. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში თამბაქოს მოწევის აკრძალვის წესი დანართის მიხედვით.

მუხლი 3. დაევალოს საკრებულოს აპარატს უზრუნველყოს:

ა) ამ ბრძანების გამოქვეყნება და გაცნობა საკრებულოს საჯარო მოხელეებისათვის;

ბ) თამბაქოს მოწევის აკრძალვის შესაბამისი ნიშნების დამზადება და ამ ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ დაწესებულების თვალსაჩინო ადგილებზე განთავსება, დამრღვევის მიმართ გამოსაყენებელი ჯარიმების ან ზომების ოდენობების მითითებით.

მუხლი 4. ამ ბრძანების შესრულებაზე და კონტროლზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს საკრებულოს აპარატის უფროსი ზვიად მეტონიძე (ტელ: 571595885);

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. №7), დაინტერესებული მხარის მიერ, მისი გაცნობიდან, ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო